ადვოკატთა საერთაშორისო კონფერენციის მიერ მიღებული რეკომენდაციები

თბილისი, საქართველო

ნოემბერი 8-9, 2018

რეკომენდაციები საადვოკატო საქმიანობის ექსკლუზიურობის შესახებ:

(ა) კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებელია, რომ იურიდიული მომსახურება განახორციელოს ადვოკატმა, რადგან:

(i) გარანტირებულია ადვოკატის დამოუკიდებლობისა და პროფესიული საიდუმლოების პრინციპები;
(ii) მათ აქვთ შესაბამისი განათლება და მუდმივად გადიან პროფესიულ სწავლებას;
(iii) მათ ეთიკურ ვალდებულებებს ზედამხედველობს ადვოკატთა ასოციაცია, რომელმაც ადვოკატთა მიმართ შეიძლება დააწესოს დისიპლინური სანქციები, როდესაც ისინი არღვევენ პროფესიულ ვალდებულებებს.

(ბ) სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ყველა მოქალაქის უფლება ხელმისაწვდომ მართლმსაჯულებაზე და მისცეს ამ უფლების რეალიზაციის შესაძლებლობა იმ მოქალაქეებს, რომელთაც არ გააჩნიათ შესაბამისი ფინანსური რესურსები მიიღონ პროფესიული სამართლებრივი კონსულტაცია და წარმომადგენლობა ადვოკატის მიერ.

რეკომენდაციები ადვოკატის პროფესიაში შესვლასთან დაკავშირებით:

(ა) ადვოკატთა ასოციაცია უნდა ხელმძღვანელობდეს და მართავდეს პროფესიაში მიღების პროცესს, მათ შორის სტაჟირების პროგრამებს;

(ბ) ადვოკატთა ასოციაცია არ უნდა ზღუდავდეს პროფესიაში შემომსვლელთა რაოდენობას, მაგრამ რეალური საჭიროების შემთხვევაში უნდა ჰქონდეს პროფესიაში შემომსვლელთა ნაკადის მართვის შესაძლებლობა;

(გ) პროფესიაში მიღების საკვალიფიკაციო გამოცდა უნდა ტარდებოდეს ელექტრონული ფორმით, შესაბამისი პროგრამის გამოყენებით;

(დ) პროფესიაში მიღების გამოცდის ერთ-ერთი კომპონენტი უნდა იყოს კანდიდატთან გასაუბრება;

(ე) პროფესიაში შესვლის პროგრამა უნდა შეფასდეს კრიტერიუმით - „გაიარა“ ან „ვერ გაიარა“, ნაცვლად ქულისა.

(ვ) პროფესიაში შესვლის პროგრამის ფარგლებში სხვა პროფესიების წარმომადგენლებზე (პროკურორები, მოსამართლეები და ა.შ) უნდა ვრცელდებოდეს ადვოკატის პროფესიაში შესვლის იგივე სტანდარტი, რაც სხვა კანდიდატებზე, მაგრამ შესაძლოა ისინი სარგებლობდნენ შეღავათით მხოლოდ პრაქტიკული კომპონენტის (სტაჟირების) ნაწილში.

(ზ) ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდაზე გამომსვლელს უნდა ჰქონდეს მინიმუმ ბაკალავრის ხარისხი იურისპრუდენციაში;

(თ) პროფესიაში შესვლის პროგრამა უნდა იყოს ფასიანი;

(ი) სტაჟირების პრაქტიკული კომპონენტი კანდიდატმა უნდა გაიაროს მხოლოდ ადვოკატთან;

(კ) პროფესიაში შევლის პროგრამის ეტაპი უნდა იწყებოდეს საკვალიფიკაციო გამოცდის გავლის შემდეგ;

(ლ) პროფესიაში შემომსვლელ პირთა მენტორის შერჩევის წინაპირობა უნდა იყოს: 5 წლიანი გამოცდილება, ოფისის ქონა, სახდელდაუდელობა;

(მ) პროფესიაში მიღების გამოცდა უნდა იყოს სხვადასხვა სპეციალიზაციის მიხედვით;

(ნ) მიზანშეწონილია მოხდეს ადვოკატების დაშვება სხვა ქვეყნის იურისდიქციებში, მიმღები ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, თუმცა ხდებოდეს და იყოს შემუშავებული შესაბამისი სტანდარტი მიმღები ქვეყნის კანონმდებლობაში.

რეკომენდაციები ადვოკატთა ასოციაციების და კერძო ადვოკატების როლზე პრო-ბონო იურიდიული დახმარების განხორციელებაში

(ა) ადვოკატთა ასოციაციებმა უნდა გასწიონ ადვოკატირება შესაბამის სახელმწიფო ინსტიტუტებთან უფასო იურიდიული დახმარების პროგრამების გაფართოების შესახებ;

(ბ) ადვოკატთა ასოციაციებმა უნდა შეიმუშავონ ის სქემა, რომლის საფუძველზეც განხორციელდება უფასო იურიდიული დახმარება;

(გ) ადვოკატთა ასოციაციაციებმა აქტიურად უნდა იმუშაონ მასზედ, რომ უფასო იურიდიული დახმარების განმახორციელებელი ადვოკატებისთვის არსებობდეს სხვადასხვა სახის კომპენსაციები, მაგალითად, საგადასახადო შეღავათები.